ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
მმართველობის ანგარიშგება	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშების მე-13 შენიშვნაში, კომპანიამ განსაზღვრა გაუფასურების ანარიცხის თანხა სადაზღვევო მოთხოვნებთან დაკავშირებით. აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აღნიშნული რეზერვის თანხის გაანგარიშება შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ შეიცავს, თუ არა სადაზღვევო მოთხოვნებზე დარიცხული გაუფასურების ანარიცხი არსებით უზუსტობას.

როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშების მე-10 შენიშვნაში, კომპანიამ განსაზღვრა მომხდარი მაგრამ განუცხადებელი(IBNR) ზარალების რეზერვი. აღნიშნული რეზერვი კომპანიის მიერ გაანგარიშდა საქართველოში მოქმედი სადაზღვევო სფეროს რეგულაციებით დაწესებული ნორმების შესაბასამისად, რაც არ არის სრულ თანხვედრაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ შეიცავს, თუ არა აღნიშნული რეზერვის ნაშთი არსებით უზუსტობას.

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტის ძირითადი საკითხები

მოზიდული და გამომუშავებული პრემია	*როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად*
მთლიანი მოზიდული პრემია წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს და მოიცავს იმ მთლიან თანხებს, რომელიც მისაღებია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოწერილი სადაზღვევო პოლისებისგან მათი მოქმედების პერიოდში. გამომუშავებული პრემია წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოზიდული პოლისების საფუძველზე გამომუშავდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ჩვენი აზრით, შემოსავლების აღიარება მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტისთვის, რადგან კომპანიამ შეიძლება არასწორად აღრიცხოს სადაზღვევო პოლისები. მოზიდული პრემიის მნიშვნელოვნება ასევე გამოწვეულია მისი მოცულობისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლებთან მგრძნობიარე კავშირის გამო.	მოზიდულ სადაზღვევო პრემიასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► გავაკეთეთ ანალიტიკური პროცედურები და გადავთვალეთ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებული პრემია; ► ჩავატარეთ დროში გამიჯვნის პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოუმუშავებელი პრემია შემოსავლის სახით არ არის შეტანილი ფინანსურ ანგარიშგებაში; ► შერჩევის საფუძველზე მიმოვიხილეთ გაფორმებული სადაზღვევო კონტრაქტები იმის დასადასტურებლად, რომ მოზიდული პრემიების აღრიცხვის რეესტრში მითითებული ინფორმაცია შეესაბამება რეალურად გაფორმებულ სადაზღვევო ხელშეკრულებების მონაცემებს; ► შერჩევის საფუძველზე მოვახდინეთ სადაზღვევო კონტრაქტების ტესტირება იმასთან დაკავშირებით, შეიცავენ თუ არა ისინი გადაზღვევის სათანადო დონეს და ასევე იმ მიზნით რომ გადამზღვევლის კუთვნილი პრემიები არის თუ არა სწორად აღრიცხული; ► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება;

	► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გამომუშავებული პრემიის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება.
სადაზღვევო ზარალები	***როგორ გადაიჭრა საკითხი ჩვენი აუდიტის შედეგად***
სადაზღვევო ზარალები კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია. სულ წარმოშობილი ზარალები მოიცავს როგორც ანაზღაურებულ ზარალებს, ასევე განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებს (RBNS). სადაზღვევო კომპანიებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სადაზღვევო ზარალების ოდენობა და შესაბამისად მათი სწორად აღიარება. ზარალების ანაზღაურება მივიჩნიეთ ისეთ არედ, რომლის მიმართაც საჭიროა აუდიტორის განსაკუთრებული ყურადღება და ერთ-ერთ ისეთ საკითხად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას ყველაზე მნიშვნელოვანია.	სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის დაზღვევების ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები: ► მოვიპოვეთ ზარალების რეესტრი და შერჩევის საფუძველზე დავტესტეთ ზარალების სისრულე რეესტრთან მიმართებაში; ► ჩავატარეთ ძირითადი პროცედურები და ანალიტიკური მიმოხილვა აუნაზღაურებელ ზარალებთან დაკავშირებით; ► შერჩევით გადავამოწმეთ ანაზღაურებული ზარალები გადახდის დოკუმენტაციასთან და სადაზღვევო ხელშეკრულებებთან; ► განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების (RBNS) შემთხვევების ჩანაწერების შესაბამისი ბაზა შევადარეთ ძირითად პირველად დოკუმენტაციას (ზარალის ნომერი, დაზღვეული, დაზღვევის ხაზი, თანხა, შემთხვევის თარიღი, გაცხადების თარიღი, ტრანზაქციის თარიღი და ა.შ.) ► აუდიტის პროცესში შევისწავლეთ კომპანიაში დანრეგილი კონტროლები და მოვახდინეთ მათი ტესტირება; ► ჩვენ მოვახდინეთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნის გადამოწმება შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთას შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ

ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ვახტანგ ცაბაძე.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანთ თორნთონის სახელით

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

5 მაისი 2022

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი (შესწორებული)
მოზიდული პრემია		18,639,675	11,519,359
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(2,658,278)	(1,073,914)
წმინდა მოზიდული პრემია		**15,981,397**	**10,445,445**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(2,697,582)	(99,333)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი		797,931	3,989
წმინდა გამომუშავებული პრემია	4	**14,081,746**	**10,350,101**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		597,631	598,807
საკომისიო შემოსავალი	5	558,082	317,333
სულ შემოსავალი		**15,237,459**	**11,266,241**
ანაზღაურებული სამედიცინო დაზღვევის ზარალები	6	(12,410,348)	(7,820,102)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	6	1,241,491	592,496
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	10	238,445	(1,334,160)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	10	87,518	94,373
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(59,731)	(35,508)
შემოსავალი რეგრესიდან		474,281	139,296
წმინდა სადაზღვევო ზარალები		**(10,428,344)**	**(8,363,605)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,601,524)	(2,004,754)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი		(101,606)	(1,009)
საპროცენტო ხარჯი		(15,948)	(13,924)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		12,593	4,631
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(153,930)	60,871
მოგება დაბეგვრამდე		**948,700**	**948,451**
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(148,772)	(155,969)
წლიური მოგება		**799,928**	**792,482**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**799,928**	**792,482**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 5 მაისს

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართულ ლარში

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი (შესწორებული)
მოზიდული პრემია		18,639,675	11,519,359
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(2,658,278)	(1,073,914)
წმინდა მოზიდული პრემია		**15,981,397**	**10,445,445**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(2,697,582)	(99,333)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი		797,931	3,989
წმინდა გამომუშავებული პრემია	4	**14,081,746**	**10,350,101**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		597,631	598,807
საკომისიო შემოსავალი	5	558,082	317,333
სულ შემოსავალი		**15,237,459**	**11,266,241**
ანაზღაურებული სამედიცინო დაზღვევის ზარალები	6	(12,410,348)	(7,820,102)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	6	1,241,491	592,496
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	10	238,445	(1,334,160)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	10	87,518	94,373
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(59,731)	(35,508)
შემოსავალი რეგრესიდან		474,281	139,296
წმინდა სადაზღვევო ზარალები		**(10,428,344)**	**(8,363,605)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,601,524)	(2,004,754)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი		(101,606)	(1,009)
საპროცენტო ხარჯი		(15,948)	(13,924)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		12,593	4,631
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(153,930)	60,871
მოგება დაბეგვრამდე		**948,700**	**948,451**
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(148,772)	(155,969)
წლიური მოგება		**799,928**	**792,482**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		**799,928**	**792,482**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 5 მაისს

არჩილ მორჩილაძე	ვასილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (შესწ.)	1 იანვარი 2020 (შესწ.)
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	266,177	312,551	348,483
საინვესტიციო ქონება		51,510	-	-
გადაზღვევის აქტივები	10	1,553,827	668,378	570,017
გადაზღვევის მოთხოვნები	11	1,860,623	759,711	1,590,319
სხვა აქტივები	12	261,997	234,740	104,489
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	13	4,788,021	917,103	2,890,792
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	8,139,452	7,558,494	4,920,664
ფული და ფულის ექვივალენტები	14	823,384	675,639	388,167
სულ აქტივები		**17,744,991**	**11,126,616**	**10,812,931**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	15	4,680,100	3,180,100	3,180,100
გაუნაწილებელი მოგება		3,159,403	2,589,475	2,728,572
		7,839,503	**5,769,575**	**5,908,672**
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10	6,570,287	4,111,150	2,677,657
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	11	2,192,722	805,278	1,519,426
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	289,675	75,890	69,584
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8	30,118	33,838	36,323
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	16	516,753	86,969	180,911
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	305,933	224,708	176,656
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		-	19,208	243,702
		9,905,488	**5,357,041**	**4,904,259**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**17,744,991**	**11,126,616**	**10,812,931**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 5 მაისს

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 (შესწ.)	1 იანვარი 2020 (შესწ.)
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	266,177	312,551	348,483
საინვესტიციო ქონება		51,510	-	-
გადაზღვევის აქტივები	10	1,553,827	668,378	570,017
გადაზღვევის მოთხოვნები	11	1,860,623	759,711	1,590,319
სხვა აქტივები	12	261,997	234,740	104,489
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	13	4,788,021	917,103	2,890,792
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	8,139,452	7,558,494	4,920,664
ფული და ფულის ექვივალენტები	14	823,384	675,639	388,167
სულ აქტივები		**17,744,991**	**11,126,616**	**10,812,931**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	15	4,680,100	3,180,100	3,180,100
გაუნაწილებელი მოგება		3,159,403	2,589,475	2,728,572
		7,839,503	**5,769,575**	**5,908,672**
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10	6,570,287	4,111,150	2,677,657
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	11	2,192,722	805,278	1,519,426
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	289,675	75,890	69,584
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8	30,118	33,838	36,323
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	16	516,753	86,969	180,911
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	305,933	224,708	176,656
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		-	19,208	243,702
		9,905,488	**5,357,041**	**4,904,259**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**17,744,991**	**11,126,616**	**10,812,931**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 5 მაისს

_____ _____

არჩილ მორჩილაძე — ვასილ გომურაშვილი

გენერალური დირექტორი — ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ქართულ ლარში	**სააქციო კაპიტალი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ კაპიტალი**
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (შესწორებული), იხილეთ შენიშვნა 3	**3,180,100**	**2,728,572**	**5,908,672**
წლიური მოგება	-	792,482	792,482
წლის სრული შემოსავალი	-	*792,482*	*792,482*
გაცემული დივიდენდები	-	(931,579)	(931,579)
სულ ტრანზაქციები მფლობელებთან	-	*(931,579)*	*(931,579)*
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შესწორებული),იხილეთ შენიშვნა 3	**3,180,100**	**2,589,475**	**5,769,575**
წლიური მოგება	-	799,928	799,928
წლის სრული შემოსავალი	-	799,928	799,928
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	1,500,000	-	1,500,000
გაცემული დივიდენდები	-	(230,000)	(230,000)
სულ ტრანზაქციები მფლობელებთან	*1,500,000*	*(230,000)*	*1,270,000*
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,680,100**	**3,159,403**	**7,839,503**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართულ ლარში

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	14,267,302	12,712,093
გადახდები გადამზღვევლებისთვის	(122,329)	(54,280)
სადაზღვევო ზარალების გადახდები	(11,911,637)	(7,628,497)
სხვა გადახდები	(3,540,749)	(1,746,266)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(1,307,413)**	**3,283,050**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(68,237)	(8,178)
საინვესტიციო ქონების შეძენა	(51,510)	-
მიღებული პროცენტი	685,999	617,775
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**566,252**	**609,597**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აქციების გამოშვება	1,500,000	-
სესხების მიღება / (დაფარვა), წმინდა	443,836	(77,867)
დივიდენდების გაცემა	(230,000)	(931,579)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**1,713,836**	**(1,009,446)**
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	972,675	2,883,201
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(153,930)	60,871
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**8,052,339**	**5,108,267**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**8,871,084**	**8,052,339**
შემადგენლობა:		
ფული და ფულის ექვივალენტები	823,384	675,639
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8,139,452	7,558,494
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	**8,962,836**	**8,234,133**
მინუს დარიცხული პროცენტი	(91,752)	(181,794)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	**8,871,084**	**8,052,339**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 12-33 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2017 წლის მაისში და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში (იხ. გ/შენიშვნა 3).

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მარიჯანის ქ. 4, თბილისი.

კომპანიის აქციონერები არიან:

არჩილ მორჩილაძე	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი“	49%
	100%

შპს „კლინიკა ნიუმედის“ 100%-ს ფლობს ხათუნა მორჩილაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი არის ლიკვიდურობის მიხედვით.

2.3. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც აღრიცხულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის:

- სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, IFRS 9 *ფინანსური ინსტრუმენტების* ნაცვლად გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება 2021 წლამდე;
- 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 *სადაზღვევო კონტრაქტები*, რომელიც 2023 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

მენეჯმენტი თვლის, რომ IFRS 9-ის გავლენა არ იქნება არსებითი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო IFRS 17-ს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა, თუმცა ამ ეტაპზე, დეტალური განხილვის დასრულებამდე, ამ გავლენის შეფასება არაპრაქტიკულია.

2.3. სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

2.3.1. მოზიდული პრემია

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (გ/შენიშვნა 2.8).

2.3.2. გადაზღვევის პრემია

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

2.3.3. სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• შენობა	5% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• სხვა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. აქტივი გამოყენების უფლებით (ROU აქტივი)

ROU აქტივი აღიარდება იჯარის დაწყებისას და ფასდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულების საწყისი ოდენობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით. ROU აქტივის ცვეთა ხორციელდება წრფივად, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

2.6. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.7. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.9. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.9.1. დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი.
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადასახდელ ან გადახდილ ზარალებში და გადამზღვევლებისგან საკომისიოს მოთხოვნა.
- გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.

- რეგრესის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

2.9.2. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. თავდაპირველად, საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რაც განისაზღვრება საიჯარო გადახდების დისკონტირებით. დისკონტირება ხორციელდება ზღვრული სასესხო განაკვეთით.

2.10. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. IBNR გამოითვლება კანონმდებლობის შესაბამისად: მოზიდული პრემიის 5% ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის, გარდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და მოზიდული პრემიის 2% სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში. არ ხდება ვალდებულების დისკონტირება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით. არ ხდება კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულება ჩამოიწერება, როცა ხდება გადახდა, გაქვითვა ან ანულირება.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

2.10.1. ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი). თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.12. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის

გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

2.13. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.14. კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.15. ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს,

რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც კომპანია არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

2.16. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კორონავირუსის (კოვიდ-19) პანდემია

გამოყენებულია მსჯელობა იმ გავლენის შესაფასებლად, რაც კორონავირუსის პანდემიას ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აღნიშნული ამ ეტაპზე არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე და არ წარმოქმნის მნიშვნელოვან გაურკვევლობებს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე საანგარიშგებო თარიღში ან შემდგომ პერიოდში.

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას. შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინასნურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

დაზღვევიდან, გადაზღვევიდან და რეგრესიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის

გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

მოგების გადასახადი

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

3. შესადარისი ინფორმაციის კორექტირების გავლენა

კომპანიამ გაასწორა შემდეგი შეცდომები: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების ანარიცხი (RBNS) შემცირებული იყო 1,546,999 ლარით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2019: 263,908 ლარი). შესაბამისად, სადაზღვევო ზარალების ხარჯი შემცირებული იყო 1,283,091 ლარით 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს და მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი და ვალდებულება გადაჭარბებულად იყო წარმოდგენილი.

ბასს 8-ის შესაბამისად, კომპანიამ შეცდომები გაასწორა რეტროსპექტულად. შედეგად მიღებული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	**ადრე წარმოდგენილი 2020**	**კორექტირება**	**შესწორებული 2020**
სულ შემოსავალი	**11,266,241**	**-**	**11,266,241**
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(7,820,102)	-	(7,820,102)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	592,496	-	592,496
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	(51,069)	(1,283,091)	(1,334,160)
გადამზღვევლის წილი ცვლილებაში	94,373	-	94,373
ზარალის დარეგულირების ხარჯები	(35,508)	-	(35,508)
შემოსავალი რეგრესიდან	139,296	-	139,296
წმინდა სადაზღვევო ზარალები	**(7,080,514)**	**(1,283,091)**	**(8,363,605)**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,004,754)	-	(2,004,754)
გაუფასურების ხარჯი	(1,009)	-	(1,009)
საპროცენტო ხარჯი	(13,924)	-	(13,924)
წმინდა სხვა შემოსავალი	4,631	-	4,631
მოგება საკურსო სხვაობიდან	60,871	-	60,871
მოგება დაბეგვრამდე	**2,231,542**	**(1,283,091)**	**948,451**
მოგების გადასახადის ხარჯი	(308,054)	152,085	(155,969)
წლიური მოგება	**1,923,488**	**(1,131,006)**	**792,482**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**ადრე წარმოდგენილი 31 დეკემბერი 2020**	**კორექტირება**	**შესწორებული 31 დეკემბერი 2020**
სულ აქტივები	**11,126,616**	**-**	**11,126,616**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			

განმარტებითი შენიშვნები

სააქციო კაპიტალი	3,180,100	-	3,180,100
გაუნაწილებელი მოგება	3,780,748	(1,191,273)	2,589,475
	6,960,848	**(1,191,273)**	**5,769,575**
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,564,151	1,546,999	4,111,150
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	374,934	(355,726)	19,208
სხვა ვალდებულებები	1,226,683	-	1,226,683
სულ ვალდებულებები	**4,165,768**	**1,191,273**	**5,357,041**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**11,126,616**	**-**	**11,126,616**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**ადრე წარმოდგენილი 1 იანვარი 2020**	**კორექტირება**	**შესწორებული 1 იანვარი 2020**
სულ აქტივები	**10,812,931**	**-**	**10,812,931**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	3,180,100	-	3,180,100
გაუნაწილებელი მოგება	2,788,839	(60,267)	2,728,572
	5,968,939	**(60,267)**	**5,908,672**
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,413,749	263,908	2,677,657
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	447,343	(203,641)	243,702
სხვა ვალდებულებები	1,982,900	-	1,982,900
სულ ვალდებულებები	**4,843,992**	**60,267**	**4,904,259**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**10,812,931**	**-**	**10,812,931**

განმარტებითი შენიშვნები

4. წმინდა გამომუშავებული პრემია

	2021			2020		
	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია
სამედიცინო	12,875,883	-	12,875,883	8,497,208	-	8,497,208
კასკო	3,101,996	(2,171,397)	930,599	1,359,716	(951,801)	407,915
MTPL (სავალდ.)	1,275,348	-	1,275,348	1,202,900	-	1,202,900
TPL	614,522	-	614,522	140,148	-	140,148
ავტო TPL	532,276	(372,593)	159,683	216,428	(81,658)	134,770
უბედური შემთხვევა	84,563	(51,293)	33,270	33,161	(13,473)	19,688
კარგო	53,394	(45,385)	8,009	18,417	(15,654)	2,763
სიცოცხლე	41,244	-	41,244	22,045	(18,738)	3,307
ვალდ. შესრულება	34,586	-	34,586	37,621	-	37,621
ქონება	20,717	(17,610)	3,107	19,069	(16,208)	2,861
სამოგზაურო	5,146	-	5,146	3,194	-	3,194
საავიაციო TPL	-	-	-	(7,439)	5,759	(1,680)
საავიაციო ტრანსპ.	-	-	-	(23,109)	17,859	(5,250)
	18,639,675	**(2,658,278)**	**15,981,397**	**11,519,359**	**(1,073,914)**	**10,445,445**
ცვლილება UPR-ში	(2,697,582)	797,931	(1,899,651)	(99,333)	3,989	(95,344)
წმინდა გამომუშ. პრემია	**15,942,093**	**(1,860,347)**	**14,081,746**	**11,420,026**	**(1,069,925)**	**10,350,101**

პროდუქტი სახელწოდებით „სიცოცხლის დაზღვევა“. არის მოკლევადიანი სადაზღვევო კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბენეფიციარი იღებს ფიქსირებულ თანხას თუ კონტრაქტის ვადის განმავლობაში გარდაიცვლება დაზღვეული პირი. ძირითადად გამოიყენება საბანკო სესხების დასაზღვევად.

ავტო TPL (სავალდებულო) - ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. მის ადმინისტრირებას ახორციელებს აიპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“. ცენტრმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან. სავალდებულო ავტო TPL დაზღვევა არის ერთობლივი ოპერაცია, სადაც 17 ქართული სადაზღვევო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) არიან ერთობლივი ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალს და რისკებს.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოდგენილია მე-10 გ/შენიშვნაში.

განმარტებითი შენიშვნები

5. საკომისიო შემოსავალი

	2021	2020
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	771,867	323,639
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	(289,675)	(75,890)
წინა პერიოდში გადავადებული შემოსავლის გამომუშავება	75,890	69,584
საკომისიო შემოსავალი	**558,082**	**317,333**

გადავადებული საკომისიო შემოსავლის მოძრაობა:

	2021	2020
1 იანვარი	**75,890**	**69,584**
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	771,867	323,639
ამორტიზაცია	(558,082)	(317,333)
31 დეკემბერი	**289,675**	**75,890**

6. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

	2021			2020		
	ანაზღაურე-ბული	გადამზღვე-ვლის წილი	წმინდა ანაზღაურება	ანაზღაურე-ბული	გადამზღვე-ვლის წილი	წმინდა ანაზღაურება
სამედიცინო	10,274,921	-	10,274,921	6,881,703	-	6,881,703
კასკო	1,557,896	(1,090,527)	467,369	718,323	(502,826)	215,497
ვალდ. შესრულება	240,306	-	240,306	1,583	-	1,583
ავტო TPL	197,648	(135,089)	62,559	93,265	(62,478)	30,787
MTPL სავალდ.	118,254	-	118,254	93,237	-	93,237
უბედური შემთხვევა	15,000	(10,500)	4,500	-	-	-
ქონება	6,323	(5,375)	948	5,548	(4,716)	832
სიცოცხლე	-	-	-	26,000	(22,100)	3,900
კარგო	-	-	-	443	(376)	67
	12,410,348	**(1,241,491)**	**11,168,857**	**7,820,102**	**(592,496)**	**7,227,606**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
თანამშრომელთა კომპენსაცია	2,091,744	1,198,425
მწვანე ბარათები (საერთაშორისო სადაზღვევო სერთიფ.)	488,610	127,034
„სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საწევროები	215,883	175,832
ზედამხედველობის სამსახურის გადასახადი	159,421	114,200
იჯარა	129,864	61,864
ცვეთა და ამორტიზაცია	93,541	82,250
მარკეტინგი	83,360	26,324
აუდიტი და საკონსულტაციო	76,161	57,133
საკომუნიკაციო და კომუნალური	63,759	40,301
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	39,117	26,266
სხვა	160,064	95,125
	3,601,524	**2,004,754**

აუდიტის მომსახურების ხარჯი შეადგენს 7,000 დოლარს.

8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი:

	2021	2020 შესწ
მიმდინარე მოგების გადასახადი	152,492	158,454
გადავადებული მოგების გადასახადი	(3,720)	(2,485)
	148,772	**155,969**

მოგების გადასახადის რეკონსილაცია:

	2021	2020 შესწ
მოგება დაბეგვრამდე	948,700	948,451
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	**142,305**	**142,268**
დროებითი სხვაობების ეფექტი	3,720	2,485
მუდმივი სხვაობების ეფექტი	6,467	13,701
მოგების გადასახადის ხარჯი	**152,492**	**158,454**
	16%	17%

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება შედგება შემდეგი დროებითი სხვაობებისგან:

	2021	2020
ძირითადი საშუალებები	39,927	46,883
საიჯარო ვალდებულება	(9,809)	(13,045)
	30,118	**33,838**

განმარტებითი შენიშვნები

9. ძირითადი საშუალებები

	ROU აქტივები	იჯარით აღებულის მოწყობა	საწყობის შენობა	კომპ. ტექნიკა	სატრანსპ. საშუალება	ავეჯი და საოფისე აღჭ.	სხვა
ღირებულება							
1 იანვარი 2020	**146,457**	**67,644**	**153,597**	**56,877**	**12,500**	**39,081**	**476,156**
შეძენა	-	6,037	3,578	2,515	34,063	-	46,193
გადატანა (კორექტ.)	-	-	(10,238)	20,326	-	(10,088)	-
31 დეკემბერი 2020	**146,457**	**73,681**	**146,937**	**79,718**	**46,563**	**28,993**	**522,349**
შეძენა	-	-	33,900	13,160	-	-	47,060
31 დეკემბერი 2021	**146,457**	**73,681**	**180,837**	**92,878**	**46,563**	**28,993**	**569,409**
აკუმ. ცვეთა							
1 იანვარი 2020	**52,306**	**13,939**	**33,400**	**12,571**	**6,250**	**9,207**	**127,673**
ცვეთა	20,922	11,017	24,003	19,173	5,339	1,671	82,125
გადატანა (კორექტ.)	-	-	-	6,069	-	(6,069)	-
31 დეკემბერი 2020	**73,228**	**24,956**	**57,403**	**37,813**	**11,589**	**4,809**	**209,798**
ცვეთა	20,922	11,052	29,602	20,874	9,313	1,671	93,434
31 დეკემბერი 2021	**94,150**	**36,008**	**87,005**	**58,687**	**20,902**	**6,480**	**303,232**
ნარჩენი ღირ.							
31 დეკემბერი 2020	**73,229**	**48,725**	**89,534**	**41,905**	**34,974**	**24,184**	**312,551**
31 დეკემბერი 2021	**52,307**	**37,673**	**93,832**	**34,191**	**25,661**	**22,513**	**266,177**

ცვეთის ხარჯი დარიცხულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები

10. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

	2021	2020 შესწ.
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	3,856,429	1,158,847
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	2,301,065	2,684,947
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	412,793	267,356
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	**6,570,287**	**4,111,150**

გადამზღვევლის წილი სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	2021	2020 შესწ.
გადამზღვევლის წილი UPR-ში	1,042,843	244,912
გადამზღვევლის წილი RBNS-ში	510,984	423,466
გადამზღვევლის წილი IBNR-ში	-	-
გადაზღვევის აქტივები	**1,553,827**	**668,378**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები გადამზღვევლის წილის გამოკლების შემდეგ:

	2021	2020 შესწ.
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	2,813,586	913,935
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	1,790,081	2,261,481
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	412,793	267,356
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდ.	**5,016,460**	**3,442,772**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების და გადამზღვევლის წილის ბრუნვის ანალიზი:

(a) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR):

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	**1,158,847**	**1,059,514**
მოზიდული პრემია	18,639,675	11,519,359
გამომუშავებული პრემია	(15,942,093)	(11,420,026)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,856,429**	**1,158,847**

გადამზღვევლის წილი:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	**244,912**	**240,923**
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	2,658,278	1,073,914
გადამზღვევლის წილი გამომუშავებულ პრემიაში	(1,860,347)	(1,069,925)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,042,843**	**244,912**

განმარტებითი შენიშვნები

წმინდა UPR:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	**913,935**	**818,591**
წმინდა მოზიდული პრემია	15,981,397	10,445,445
წმინდა გამომუშავებული პრემია	(14,081,746)	(10,350,101)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,813,586**	**913,935**

(b) ზარალების რეზერვი (RBNS და IBNR):

	2021	2020 შესწ.
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	2,684,947	1,385,361
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	267,356	232,782
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**2,952,303**	**1,618,143**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	12,171,903	9,154,262
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(12,410,348)	(7,820,102)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**(238,445)**	**1,334,160**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,301,065	2,684,947
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	412,793	267,356
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,713,858**	**2,952,303**

გადამზღვევლის წილი RBNS-ში:

	2021	2020
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	423,467	329,094
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**423,467**	**329,094**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	1,329,009	686,869
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(1,241,491)	(592,496)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**87,518**	**94,373**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	510,985	423,467
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**510,985**	**423,467**

RBNS და IBNR, ნეტო:

	2021	2020 შესწ.
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	2,261,480	1,056,267
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	267,356	232,782
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**2,528,836**	**1,289,049**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	10,842,894	8,467,393
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(11,168,857)	(7,227,606)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**(325,963)**	**1,239,787**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,790,080	2,261,480
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	412,793	267,356
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,202,873**	**2,528,836**

განმარტებითი შენიშვნები

11. გადაზღვევა

	2021	2020
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	(2,192,722)	(805,278)
გადაზღვევის მოთხოვნები:		
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	1,259,443	621,844
მოსაღები საკომისიო	601,180	137,867
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ, წმინდა	**(332,099)**	**(45,567)**

12. სხვა აქტივები

	2021	2020
რეგრესის მოთხოვნა	169,349	83,010
გადახდილი ავანსები	37,730	106,017
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,084	34,734
გადახდილი მოგების გადასახადი	5,962	-
არამატერიალური აქტივები, ამორტიზაციის გამოკლებით	3,701	3,807
გადავადებული აკვიზიციის ხარჯი	37,171	7,172
	261,997	**234,740**

13. სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა

	2021	2020
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	4,895,878	1,495,814
გაუფასურების ანარიცხი	(107,857)	(568,711)
სულ სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	**4,788,021**	**917,103**

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

14. ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	2021	2020
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	784,908	675,453
ნაღდი ფული	38,476	186
ფული და ფულის ექვივალენტები	**823,384**	**675,639**
მოკლევადიანი დეპოზიტები სს „ფინკა ბანკი საქართველოში“	3,300,100	3,800,100
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში“	3,178,080	2,621,280
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „საქართველოს ბანკში“	1,119,520	955,320
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „ხალიკ ბანკში“	450,000	-
დარიცხული პროცენტი	91,752	181,794
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**8,139,452**	**7,558,494**
სულ ფული და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**8,962,836**	**8,234,133**

ფული და ფულის ექვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ შეზღუდულ ფულს (სავალდებულო რეზერვს) სარეგულაციო კანონმდებლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული სავალდებულო რეზერვის ოდენობა დამოკიდებულია ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) შეფასებულ ოდენობაზე.

განმარტებითი შენიშვნები

15. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება შემდეგი ოდენობის ჩვეულებრივი აქციებისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი:

	2021	2020
ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	7,200,100	4,200,100
გადაუხდელი	(2,520,000)	(1,020,000)
გადახდილი სააქციო კაპიტალი	**4,680,100**	**3,180,100**

აქციონერები წარმოდგენილია გ/შ 1 *ზოგად ინფორმაციაში*. სარეგულაციო კანონდებლობის კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ იხ. მე-18 გ/შენიშვნა, კაპიტალის მართვის ნაწილი.

16. მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება

	2021	2020
საიჯარო ვალდებულება აქციონერისადმი (10.9%)	65,392	86,969
მოკლევადიანი სესხი აქციონერისგან (18.75%)	451,361	-
	516,753	**86,969**

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
დავალიანება მომწოდებლებისადმი	15,291	8,675
დავალიანება სახელმწიფო ზედამხედველობისადმი	159,064	114,201
მიღებული ავანსები (საგარანტიო დეპოზიტები)	10,260	22,760
სახელფასო დავალიანება	109,919	71,877
სხვა ვალდებულებები	11,399	7,195
	305,933	**224,708**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

18. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას, მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა

საქართველოს სადაზღვევო სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის უზრუნველყოფა.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის #27 ბრძანების მიხედვით, მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობის გახორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 2,200 ლარზე ნაკლები და კომპანიას ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს ამ ოდენობის ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა არის 4,200 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და 7,200 ლარი შემდგომში.

კომპანია აკმაყოფილებდა საზედამხედველო კანონმდებლობის მოთხოვნებს კაპიტალთან მიმართებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18.1. სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რაც მოიცავს სადაზღვევო ზარალის ოდენობის და დადგომის დროის გაურკვევლობას. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა შეფასებულ ოდენობას. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე და მასშტაბი.

რისკების შემცირება ხდება ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, ეპიდემიების და მსგავსი შემთხვევების შედეგად. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს

სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

18.2. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში ეს რისკი კომპანიისთვის არ იყო არსებითი.

ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	**2021**	**2020**
ფული და ფულის ექვივალენტები	823,384	675,639
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8,139,452	7,558,494
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	4,788,021	917,103
გადაზღვევის მოთხოვნები	1,860,623	759,711
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	169,349	83,010
	15,780,829	**9,993,957**

ფინანსური ვალდებულებები	**2021**	**2020**
წმინდა სადაზღვევო ზარალები (წმინდა RBNS და IBNR, გ/შ 10)	2,202,874	2,528,837
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ	2,192,722	805,278
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	516,753	86,969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	305,933	224,708
მოგების გადასახადის ვალდებულება	-	19,208
	5,218,282	**3,665,000**

18.2.1. საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	2021	**2020**
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	784,908	675,453
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8,139,452	7,558,494
სადაზღვევო მოთხოვნები	4,788,021	917,103
გადაზღვევის მოთხოვნები	1,860,623	759,711
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	169,349	83,010
	15,742,353	**9,993,771**

18.2.2. ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. საანგარიშგებო თარიღში ყველა ფინანსური ვალდებულება იყო მიმდინარე, გარდა შემდეგისა:

	1 წლამდე	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	475,412	41,341	-	516,753
2021 წლის 31 დეკემბერი	**475,412**	**41,341**	**-**	**516,753**
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	21,577	65,392	-	86,969
2020 წლის 31 დეკემბერი	**21,577**	**65,392**	**-**	**86,969**

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021	2020
ტრანზაქციის ოდენობა:		
აქციონერისთვის გადახდილი სამედიცინო ზარალი	1,196,266	1,135,591
ნაშთი:		
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	516,753	86,969

ზემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია იყო შემდეგი:

	2021	2020
საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია	390,485	345,238

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 5 მაისს.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო, რაც თავის მხრივ მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ასევე სხვა სახელმწიფოებმა, ომის შეწყვეტის მიზნით, გადაწყვიტეს რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესება. სანქციები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შეზღუდვებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო რუსეთში არსებულ კომპანიებზე, არამედ მათზეც, ვისაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ ამ კომპანიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, ეკონომიკურ ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას, ამ ეტაპზე შეუძლებელია საკმარისად ზუსტად შევაფასოთ რა მასშტაბისა იქნება ამ მოვლენების გავლენა კომპანიაზე და მის საქმიანობაზე. ზოგადად კომპანიას არ აქვს ურთიერთობები რუსეთში დაფუძნებულ კომპანიებთან.

კორონავირუსის პანდემია არ არის დასრულებული და არაპრაქტიკულია ამ მოვლენის პოტენციური ზეგავლენის შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე ისეთი მოვლენა, რომელიც ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხების ან ახსნა-განმარტებითი მასალის ცვლილებებს მოითხოვდა.

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

მართველობითი ანგარიშგება
2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ხვალინდელი დღე საიმედო ხელში!

სარჩევი

მისია …… 36

ძირითადი პრინციპები …… 36

ამოცანები …… 36

კომპანიის შესახებ ……..…… 37

რას ვსაქმიანობთ …… 37

კორპორაციული მართვა ……...…… 38

კომპანიის მიერ შემუშავებული
შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული)……..…… 38

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა……..…… 39

უკანონო შემოსავლების ლეგალიზიციის აღკვეთისა და
ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა ……...…… 39

მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები…… 39

შედეგები……....…… 40

სამომავლო გეგმები ……...…… 40

მისია

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მისიაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით და მომხმარებლის ერთგულებაზე აგებული, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კეთილსინდისიერი მომსახურება.

ძირითადი პრინციპები

- კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურებას რაციონალურად და კარგად გათვლილი სადაზღვევო პროდუქტებით და მაღალრეიტინგული გადამზღვეველით,
- კომპანია იყენებს საერთაშორისოდ აღირებულ მიდგომებსა და მეთოდებს ყოველდღიურ საქმინობაში;
- კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის გამოწვევებს და მუშაობს მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამასთანავე ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნასა და რეალიზაციაზე;
- კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამოცანები

- კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და განახლებასთან მიმართებაში;
- კომპანიის განვითარება ახალი სადაზღვევო ინსტრუმენტებისა და ბაზრის ათვისების კუთხით

კომპანიის შესახებ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი დაარსდა 2017 წელს 100%-იანი ქართული ინვესტიციით. კომპანიის აქციონერები არიან:

არჩილ მორჩილაძე	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი“	49%
	100%

კომპანია მომხმარებელს სადღეიდოდ ქართულ ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. კომპანიის მთავარი მიზანია მომხმარებლისათვის მომსახურეობის შეთავაზება მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო პროვაიდერების, ოჯახის ექიმების ფართო ქსელითა და პროვაიდერი ავტო სერვის ცენტრებით, რაც მაქსიმალურად მორგებულია მათ კომფორტზე; კომპანიას გააჩნია სამი სერვის ცენტრი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.. სულ კომპანიაში დასაქმებულია 200-ზე მეტი ადამიანი. კომპანიაში მუდმივად ხდება მომსახურების გაუმჯობესება. ასევე კომპანიას აქვს ონლაინ სერვისების გამართული სისტემა

რას ვსაქმიანობთ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ავტომობილის დაზღვევა (კერძო და კორპორაციული);
- ავტომოტო ტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა: საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა; კონტეინერების დაზღვევა;
- ტვირთის დაზღვევა
- ქონების დაზღვევა;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- აგროდაზღვევა;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ვალდებულებათა შესრულების (ფინანსური გარანტიები) დაზღვევა;
- სხვადასხვა

კორპორაციული მართვა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება, ხოლო კომპანიის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან: თავმჯდომარე/წევრი: კობა ლიპარტელიანი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: გიორგი ვაშაკიძე, წევრი: ალექსანდრე გელენიძე. ყოველდღიურ მართვას კი ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. კორპორაციული მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა შიდა კონტროლი, რომლის მიზნებისათვის შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ დაქვემდებრებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან. ანგარიშგება მიმდინარეობს კვარტალურად, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შესაძლებელია ეს ვადა ერთ თევმდეც შემცირდეს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მოთხოვნებისა და კომპანიის გაფართოებიდან გამომდინარე ინერგება ე.წ. შიდა პროცედურების გაწერის პოლიტიკა; კომპანიაში ყოველი სამსახურისათვის ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ამ სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს, ანგარიშგების ფორმებსა და ვადებს.

კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული)

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტში გაწერილია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშირისო სტანდარტების შესაბამისი აუცილებელი პროცედურა, რომელიც გადაცემული აქვს კომპანიის ყველა რგოლს სახემძღავანელოდ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

კომპანიაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავდა ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მოხოვნებიდან გამომდინარე, ყოველ სადაზღვევო ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც ეხება სადაო საკითხების გადაჭრას, პრეტენზიის წამოყენების ვადას და ყველა იმ ეტაპს, რომელსაც გაივლის კომპანია მომხმარებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად/უარსაყოფად.

- სადაზღვევო პოლისის გაცემის პროცედურა

კომპანიაში შემუშავდა პოლისის გაცემის აღმწერი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაწერილია სადაზღვევო პოლისის გაცემის თანმიმდევრობა და პირის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია დოკუმენტაციის ნუსხა. დოკუმენტი დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ და ხდება მისი ამოქმედება დაზღვევის ნებისმიერი სახეობისათვის.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზიციის აღკვეთისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიაში შექმილია სპეციალური დანაყოფი, რომელიც მუშაობს ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისი პროცედურის დანერგვაზე.
ამ პროცედურის საბოლოო მიზანია სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში დაამკვიდროს საქართველოს კანონისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური თუ იურიდიული პირის იდენტიფიცირებას, საეჭვო გარიგებების მონიტორინგსა და შესაბამის რეპორტინგს, მონაცემების სისტემატიზაციას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში და ზოგადად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობა და ვალუტის კურსის ცვლილებებია. ბუნებრივია, რომ არასტაბილურ გარემოში მცირდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება სადაზღვევო ბაზარზე.

შედეგები

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანია გავიდა შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე;

მოზიდული პრემია	18,639,675 ლარი
გადაზღვევის პრემია	2,658,278 ლარი
გამომუშავებულ პრემია ნეტო	14,081,746 ლარი
ანაზღაურებული ზარალი ნეტო	10,428,344 ლარი
წმინდა მოგება	799,928 ლარი

კომპანიამ არსებობის მეოთხე წლის თავზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, როგორც მოზიდული პრემიის სიდიდით, ისე კლიენტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით.

სამომავლო გეგმები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მუდმივად ანახლებს მომსახურეობის სქემას, რაც დადებითად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე; ინერგება ინოვაციური შეთავაზებები, პროდუქტების გაყიდვა ელექტრონულად, ელექტრონული ხელმოწერის პროცედურის დანერგვა, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს მომსახურეობის ხარისხზე. კომპანიაში სპეციალური მიმართულებაა ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურეობის შექმნა, რაც თავის მხრივ ბაზრის წილი გაფართოებასა და კომპანიის რენტაბელობაზე დადებითად უნდა აისახოს.

გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
არჩილ მორჩილადზე	ვასილ გომურაშვილი